

შპს „ავტო-ბანი 2000“

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

**შპს „ავტო-ბანი 2000“
სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ავტო-ბანი 2000-ის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ავტო-ბანი 2000-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს / IFRS for SMEs) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ დათვლას და ვერ შევძელით მათი რაოდენობების ალტერნატიული გზით დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 9,055,266 ლარის ღირებულებით. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების განხორციელება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა და მათთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობასთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად,

რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და
- შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო



შპს “ავტო-ბანი 2000“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,079,828	2,286,384
არამატერიალური აქტივები	5	5,220	6,086
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,085,048	2,292,470
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	715,209	261,936
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	9,055,266	7,439,981
ფული და ფულის ექვივალენტები	8	129,663	74,952
გადასახდელი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		951,032	284,962
საგადასახადო აქტივი	13	112,544	-
სულ მიმდინარე აქტივები		10,963,714	8,061,831
სულ აქტივები		13,048,762	10,354,302
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	413,700	413,700
გაუნაწილებელი მოგება	9	8,990,652	7,446,849
სხვა რეზერვები და ფინანსირება	9	-	-
სულ კაპიტალი		9,404,352	7,860,549
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	10	2,071,634	459,495
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,071,634	459,495
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,061,453	772,934
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების	13	-	19,701
გადასახადის გარდა			
მოკლევადიანი სესხი	11	-	1,241,623
მიღებული ავანსები		511,323	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,572,776	2,034,258
სულ ვალდებულებები		3,644,410	2,493,753
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,048,762	10,354,302

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ავტო-ბანი 2000"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-21	31-დეკ-20
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,079,828	2,286,384
არამატერიალური აქტივები	5	5,220	6,086
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,085,048	2,292,470
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	715,209	261,936
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	9,055,266	7,439,981
ფული და ფულის ექვივალენტები	8	129,663	74,952
გადასახდელი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	9	951,032	284,962
საგადასახადო აქტივი		112,544	-
სულ მიმდინარე აქტივები		10,963,714	8,061,831
სულ აქტივები		13,048,762	10,354,302
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	413,700	413,700
გაუნაწილებელი მოგება	11	8,990,652	7,446,849
სხვა რეზერვები და ფინანსირება	11	-	-
სულ კაპიტალი		9,404,352	7,860,549
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	12	2,071,634	459,495
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,071,634	459,495
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,061,453	772,934
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	15	-	19,701
მოკლევადიანი სესხი		-	1,241,623
მიღებული ავანსები		511,323	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,572,776	2,034,258
სულ ვალდებულებები		3,644,410	2,493,753
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,048,762	10,354,302

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ავტო-ბანი 2000“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	15	17,367,994	13,490,983
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	16	(12,399,273)	(8,713,628)
საერთო მოგება		4,968,721	4,777,355
ადმინისტრაციული, გაყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(3,933,244)	(3,530,810)
საოპერაციო ხარჯი		(3,933,244)	(3,530,810)
საოპერაციო მოგება		1,035,477	1,246,545
საოპერაციო ხარჯები კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	14	318,110	(610,651)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		307,441	(77,437)
არასაოპერაციო ხარჯები		512,829	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,548,305	1,246,545
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,502)	(20,015)
წმინდა მოგება		1,543,804	1,226,530

ხელმოწერი პირი:

 დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ავტო-ბანი 2000“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	17	17,367,994	13,490,983
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	18	(12,399,273)	(8,713,628)
საერთო მოგება		4,968,721	4,777,355
ადმინისტრაციული, გაყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯი	21	(3,933,244)	(3,530,810)
საოპერაციო ხარჯი		(3,933,244)	(3,530,810)
საოპერაციო მოგება		1,035,477	1,246,545
საოპერაციო ხარჯები	24	(112,722)	(145,242)
კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		318,110	(610,651)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		307,3441	(77,437)
არასაოპერაციო ხარჯები		512,829	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,548,305	1,246,545
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,502)	(20,015)
წმინდა მოგება		1,543,804	1,226,530

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ავტო-ბანი 2000“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	413,700	7,446,849	7,860,549
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	1,543,804	1,543,804
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	413,700	8,990,652	9,404,352

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ავტო-ბანი 2000“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	413,700	7,446,849	7,860,549
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	1,543,804	1,543,804
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	413,700	8,990,652	9,404,352

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს “ავტო-ბანი 2000“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,548,305	413,000
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	300,829	369,000
მოთხოვნის გაუფასურების ხარჯი	61,436	379,000
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	318,110	611,000
საპროცენტო ხარჯები	112,722	145,000
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	2,341,403	1,917,000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(453,273)	154,000
ზრდა/(შემცირება) გადახდილი ავანსები დასხვა მიმდინარე აქტივები	(666,070)	(1000)
მიღებული ავანსების ზრდა/შემცირება	511,323	-
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(1,615,285)	1,195,000
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	288,520	(500,000)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	(132,245)	1000
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	274,373	2,766,000
მოგების გადასახადის გადახდა	(4,502)	(20,000)
საოპერაციო ხარჯების გადახდა	(112,722)	(145,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	274,373	2,766,000
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შესყიდვა	(94,273)	(190,000)
არამატერიალურ აქტივების შესყიდვა	866	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(93,407)	(190,000)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(379,546)	(191,000)
მიღებული სესხები	370,516	(2,250,000)
მიღებული სესხების დაფარვა	-	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა	(9,031)	(2,441,000)
წმინდა ზრდა/ კლება ფულსა და ფულის ექვივალენტში	54,711	(30,000)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	74,952	105,000
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	129,663	75,000

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ავტო-ბანი 2000"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	1,548,305	413,000
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	300,829	369,000
მოთხოვნის გაუფასურების ხარჯი	61,436	379,000
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	318,110	611,000
საპროცენტო ხარჯები	112,722	145,000
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	2,341,403	1,917,000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(453,273)	154,000
ზრდა/(შემცირება) გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	(666,070)	(1000)
მიღებული ავანსების ზრდა/შემცირება	511,323	-
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(1,615,285)	1,195,000
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	288,520	(500,000)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	(132,245)	1000
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	274,373	2,766,000
მოგების გადასახადის გადახდა	(4,502)	(20,000)
საოპერაციო ხარჯების გადახდა	(112,722)	(145,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები	274,373	2,766,000
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შესყიდვა	(94,273)	(190,000)
არამატერიალურ აქტივების შესყიდვა	866	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(93,407)	(190,000)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(379,546)	(191,000)
მიღებული სესხები	370,516	(2,250,000)
მიღებული სესხების დაფარვა	-	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა	(9,031)	(2,441,000)
წმინდა ზრდა/ კლება ფულსა და ფულის ექვივალენტში	54,711	(30,000)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	74,952	105,000
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	129,663	75,000

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ავტო-ბანი 2000“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 20 ივნისს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ფეიქრების ქ., N14. ასევე კომპანიას აქვს კიდეც 2 ფილიალი თბილისში, რომელთა მისამართებია: თბილისი, აგლაძის ქ.30ა და თბილისი, შარტავას ქ. 6.

ავტო-ბანი მომხმარებელს სთავაზობს ფართო სპექტრს მსოფლიოს 70-მდე წამყვანი ბრენდისგან. ხარისხის სტანდარტთან და გონივრულ ფასებთან ერთად. კომპანიის კიდეც ერთი უპირატესობა უშუალო მიწოდების ხაზია ევროპიდან, განსაკუთრებით გერმანიიდან, ასევე იაპონიიდან და კორეიდან. რაც იმას ნიშნავს, რომ მწარმოებლიდან საბოლოო მომხმარებლამდე არ არსებობს ზედმეტი რგოლები. ავტობანი ასევე წარმოადგენს მდგრად პლატფორმას ადგილობრივი ბიზნესისთვის და 800-მდე ლოკალური პარტნიორი ჰყავს. 2012 წელს დაარსდა ავტო-ბანი 2000-ის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ფილიალი. 2014 წლიდან კომპანია ავტოინდუსტრიის უმსხვილესი გაერთიანების TEMOT-ის წევრი და სრულფასოვანი აქციონერია. 2016 გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე შეიქმნა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კიდეც ერთი ფილიალი, რომელშიც სერვისი და მაღაზია ერთად არის წარმოდგენილი.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ბაკურ ხუნდაძე (პ/ნ 01026002601).

საოპერაციო გარემო

შპს „ავტო-ბანი 2000“-ის ძირითადი საქმიანობაა ისეთი პროდუქტებით ვაჭრობა, როგორიცაა: ავტომობილის ზეთები, ავტომობილის სათადარიგო ნაწილები და ფილტრები, ავტონაწილები, ავტომობილების საბურავები, აქსესუარები და დისკები (როგორც საბითუმო, ასევე საცალო ვაჭრობა). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კომპანია თავის მომხმარებელს სთავაზობს ავტოსერვისს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	3.0976	3,2766
1 EUR/GEL	3.5040	4,0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არ არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს

რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივაციული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი

საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
დაუმთავრებელი მშენებლობა	0 წელი
სხვა	2-5 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როცა იწყება აქტივის გამოყენება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში გუდვილის გარდა, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად.

მიმდინარე და შედარებითი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

პროგრამული უზრუნველყოფა	5-10 წელი
სხვა	2-10 წელი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ

გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშებზე ასახულ ცვლილებებს.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ქონების კეთილმო წყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება									
ბალანსი									
31.12.2020	733,516	1,252,098	9,787	-	125,445	918,658	118,690	21,977	3,180,171
შეძენა	-	-	-	5,658	36,196	26,601	18,633	9,113	96,202
გასვლა	-	-	-	-	(7,115)	(2,551)	(1,638)	-	(11,305)
ბალანსი									
31.12.2021	733,516	1,252,098	9,787	5,658	154,526	942,708	135,685	31,090	3,265,069
ცვეთა									
ბალანსი									
31.12.2020	-	(178,005)	(8,808)	-	(48,220)	(592,212)	(52,529)	(14,012)	(893,787)
ცვეთა	-	(41,231)	-	(820)	(26,542)	(207,833)	(17,079)	(6,458)	(299,963)
გასვლა	-	-	-	-	5,553	2,079	877	-	8,509
ბალანსი									
31.12.2021	-	(219,237)	(8,808)	(820)	(69,208)	(797,967)	(68,731)	(20,470)	(1,185,241)
ბალანსი									
31.12.2020	733,516	1,074,093	979	-	77,226	326,445	66,161	7,964	2,286,384
ბალანსი									
31.12.2021	733,516	1,032,862	979	4,838	85,318	144,741	66,954	10,620	2,079,828

2021 წლის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკითა და გირავნობით რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

5. არამატერიალური აქტივები

	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება		
<u>ბალანსი 31.12.2020</u>	8,867	8,867
შემენა	-	-
გასვლა	-	-
<u>ბალანსი 31.12.2021</u>	8,867	8,867
ცვეთა		
<u>ბალანსი 31.12.2020</u>	(2,781)	(2,781)
ცვეთა	(866)	(866)
გასვლა	-	-
<u>ბალანსი 31.12.2021</u>	(3,647)	(3,647)
<u>ბალანსი 31.12.2020</u>	6,086	6,086
<u>ბალანსი 31.12.2021</u>	5,220	5,220

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-21	31-დეკ-20
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	423,317	360,275
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	7,490	-
მოთხოვნები საწარმოს პარტნიორთა მიმართ	-	-
გადახდილი ავანსები	937,510	263,483
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13,522	21,479
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ანარიცხებამდე	1,381,840	645,236
ანარიცხები	284,401	(98,339)
უკან დაბრუნების რეზერვი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,666,240	546,898

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-21	31-დეკ-20
საქონელი	9,055,266	7,347,622
სარეკლამო მასალა და სხვა	-	92,359
კომპლექტაცია	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	9,055,266	7,439,981

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	60,654	44,210
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	68,244	30,528
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	765	214
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	129,663	74,952

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული და ფულის ექვივალენტები არ არის გაუფასურებული და ვადაგადაცილებული.

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისგან, საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულებაა 413,700 ლარი და 8,990,652 ლარი გაუნაწილებელი მოგებით. 2021 წელს კომპანიამ მიიღო დამატებითი 1,543,804 ლარის წმინდა მოგება, რომელიც კაპიტალის ჯამურ ღირებულებაშია წარმოდგენილი, როგორც მიმდინარე პერიოდის მოგების / (ზარალი). 2021 წლის განმავლობაში კაპიტალის ზრდა არ განხორციელებულა.

10. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სესხი ადგილობრივი ბანკებისგან	2,071,634	459,495
სულ გრძელვადიანი სესხები	2,071,634	459,495

11. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სესხი ადგილობრივი ბანკებისგან	-	1,011,623
სესხი ადგილობრივი კომპანიებისგან	-	230,000
სულ მოკლევადიანი სესხები	-	1,241,623

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	802,461	770,691
ფიზიკური პირისგან მიღებული მომსახურება	1,020	1,000
გადასახდელი ხელფასები	12,686	1,453
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	243,785	-
მიღებული ავანსები	511,323	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,501	(201)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,572,776	772,934

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის განსხვავება. ყველა მათგანი არის მიმდინარე და ვადაგადაცილება არ აღირიცხება კომპანიის უსწყისში.

13. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები	31-დეკ-21	31-დეკ-20
გადასახდელი მოგების გადასახადი	(22,134)	(2,719)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(550,053)	(52,231)
გადასახდელი დღგ	(2,855,708)	(32,832)
დარიცხული დღგ	(104,021)	-
ჩასათვლელი დღგ	(1,858)	-
ქონების გადასახადები	-	-
გადასახდელი აქციზი	(10,374)	-
იმპორტის გადასახადის ვალდებულება	(11,319)	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	38,957	63,042
საბიუჯეტო ვალდებულებები	3,629,055	5,040
სულ საგადასახადო ვალდებულებები	112,544	(19,701)

14. წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	534,056	86,601
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(215,946)	(6,97,252)
სულ წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	318,110	(610,651)

15. შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	17,363,756	13,409,684
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	4,237	-
უსასყიდლო მიწოდება	-	95,441
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-	(14,143)
სულ შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	17,367,994	13,490,983

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2021	2020
ძირითადი მასალის დანახარჯები/შემენა	75	-
დამხმარე მასალის დანახარჯები/შემენა	2,597	-
კომუნალური ხარჯები	91,309	-
სხვა ზედმადები ხარჯები	7,393	-
გაყიდული/შემენილი საქონელი	11,588,697	8,825,931
უკან დაბრუნება	-	(112,303)
მარაგების კორექტირება	709,201	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12,399,273	8,713,628

შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული ავტოსატარაქო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და სხვა თვითღირებულებაში შემავალ ხარჯებს, ასევე რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შემცირებულია წლის განმავლობაში მომწოდებლებისგან მიღებული ფულადი და სარეკლამო ბონუსებით.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
რეკლამის ხარჯი	168,956	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	379	134,376
მივლინება	4,965	-
ავტომანქანის შენახვის ხარჯი	57,441	-
მიწოდების სხვა ხარჯი	4,495	-

შრომის ანაზღაურება	2,332,450	1,868,737
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	41,764	18,812
თანამშრომლის სარგებელი	64,423	35,931
იჯარის ხარჯი	378,231	293,903
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	22,152	93,683
ძირითადი საშუალებების ცვეთა	299,331	369,314
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	1,498	-
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	7,888	-
მივლინების ხარჯები	12,092	-
სხვა საერთო ხარჯები	478,262	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	18,985	20,461
დღგ-ს ხარჯი	12,408	-
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	379,409
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	27,525	316,183
	3,933,244	3,530,810

18. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2021	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	715,209	715,209
ფული და ფულის ექვივალენტები	-	538	129,125	129,663
გადახდილი ავანსები და სხვა	-	-	951,032	951,032
მიმდინარე აქტივები	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	538	1,795,366	1,795,904
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,061,453	1,061,453
გრძელვადიანი სესხები	-	-	2,071,634	2,071,634
მოკლევადიანი სესხი	-	-	-	-
მიღებული ავანსები	-	-	511,323	511,323
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	3,644,410	3,644,410
წმინდა პოზიცია	-	538	(1,849,044)	(1,848,506)
2020	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	261,936	261,936

ფული და ფულის ექვივალენტები	66	-	74,887	74,952
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	284,962	284,962
სულ ფინანსური აქტივები	66	-	621,784	621,850
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	772,934	772,934
გრძელვადიანი სესხები	-	-	459,495	459,495
მოკლევადიანი სესხი	-	-	1,241,623	1,241,623
მიღებული ავანსები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	2,474,052	2,474,052
წმინდა პოზიცია	66	-	(1,852,268)	(1,852,202)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2021	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	715,209	-	-	715,209
ფული და ფულის ექვივალენტები	129,663	-	-	129,663
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	951,032	-	-	951,032
სულ ფინანსური აქტივები	1,795,904	-	-	1,795,904
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	715,209	-	-	715,209
ფული და ფულის ექვივალენტები	129,663	-	-	129,663
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,061,453	-	-	1,061,453

შპს „ავტო-ბანი 2000“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

გრძელვადიანი სესხები	-	2,071,634	-	2,071,634
მოკლევადიანი სესხი	-	-	-	-
მიღებული ავანსები	511,323	-	-	511,323
სულ ფინანსური ვალდებულებები	511,323	-	-	511,323
წმინდა პოზიცია	1,284,581	-	-	1,284,581
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,061,453	-	-	1,061,453

2020	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	261,936	-	-	261,936
ფული და ფულის ექვივალენტები	74,952	-	-	74,952
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	284,962	-	-	284,962
სულ ფინანსური აქტივები	621,850	-	-	621,850
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	772,934	-	-	772,934
გრძელვადიანი სესხები	-	459,495	-	459,495
მოკლევადიანი სესხი	1,241,623	-	-	1,241,623
მიღებული ავანსები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,014,557	459,495	-	2,474,052
წმინდა პოზიცია	(1,392,707)	(459,495)	-	(1,852,202)
2020	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	261,936	-	-	261,936
ფული და ფულის ექვივალენტები	74,952	-	-	74,952

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-2021		31-დეკ-2020	
	საბალანსო დირებულება	სამართლიანი დირებულება	საბალანსო დირებულება	სამართლიანი დირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	715,209	715,209	261935.84	261935.84
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	951,032	951,032	284,962	284,962
გრძელვადიანი სესხი	2,071,634	2,071,634	459,495	459,495
მოკლევადიანი სესხი	-	-	1,241,623	1,241,623
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,061,453	1,061,453	772,934	772,934

21. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

	2021
მენეჯმენტის ანაზღაურება	30,361
სულ	30,361

22. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება. საერთო ჯამში, კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს.

კოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე, აღსანიშნავია ძირითად ნედლეულზე ფასების მკვეთრი ზრდა, განსაკუთრებით ყველა სახის ხორცზე, ფქვილზე და ცხიმებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომპანიის გაყიდვების თავისებურებებიდან გამომდინარე ნედლეულზე ფასების ზრდა მყისიერად ვერ აისახება გასაყიდ ფასზე აღნიშნულმა გავლენამ მოახდინა შუალედურ მარჟაზე. საანგარიშო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაიწყო ოპერირება შპს „გუდვილი“-ს საწარმოო ნაწილში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე, გარდა ზემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ავტო-ბანი 2000“

მმართველობის ანაგრიშება

2021 წლის 31 დეკემბრისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ავტო-ბანი 200“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობის ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „ავტო-ბანი 200“-ის თანმხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „ავტო-ბანი 200“-ის მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

გოჩა ჭოლოკავა

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

29 სექტემბერი, 2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ავტო-ბანი 200“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობის ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „ავტო-ბანი 200“-ის თანხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „ავტო-ბანი 200“-ის მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

გოჩა ჭოლოკავა



სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

29 სექტემბერი, 2022 წელი

თავი I

საქმიანობის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა

შპს “ავტო-ბანი 2000”-ის დამფუძნებელია ფიზიკური პირი ბაკურ ხუნდაძე, შესაბამისად მას ენიჭება დირექტორის და აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნისა და კონტროლის ფუნქცია.

დამფუძნებლის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) აკონტროლოს დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობა;
- ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები, ხელშეკრულებები, საოფისე, სასაწყობო ობიექტები.
- გ) შეამოწმოს წლიური ანგარიშები.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებლის გადაწყვეტილება, რომელიც წარმართავს კომპანიის საქმიანობას. კომპანიის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის დამფუძნებელი ირჩევს დირექტორს (დირექტორებს), რომლებსაც ეკისრებათ კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილი არიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და სამტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიაში ფუნქციონირებს რამდენიმე დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს:

1. ადმინისტრაცია
2. ფინანსური
3. შესყიდვების
4. დისტრიბუცია
5. სერვისი

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 110 (2020: 91) ადამიანი.

საქმიანობის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შპს “ავტო-ბანი 2000” ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ავტომობილის საბურავებით, საპოხი მასალებით, აკუმულატორებით და სხვა სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, ასევე ავტომობილების ტექნიკური და სარემონტო მომსახურებების გაწევა.

შპს ავტობანი-2000

მმართველობის ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შპს “ავტო-ბანი 2000“ ფლობს საცალო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტებსა და ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.

კომპანია ახორციელებს მსოფლიოში ცნობილი ბრენდების საქონლის იმპორტს კერძოდ იმპორტი ხორციელდება გერმანიიდან, იაპონიიდან, ჰოლანდიიდან, ესპანეთიდან, ბრაზილიიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნიდან. დისტრიბუცია ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში კომპანიის მიერ დაქირავებული თანამშრომლების მიერ, კომპანიის კუთვნილი ავტომაქსების მეშვეობით.

შპს “ავტო-ბანი 2000“ არის 80-მდე ცნობილი უცხოური კომპანიისა თუ ბრენდის წარმომადგენელი საქართველოში. კომპანია არის ავტომწარმოებელთა და რეალიზატორთა საერთაშორისო გაერთიანება Temot International Autoparts GmbH-ის წევრი 2015 წლიდან.

ფინანსური მაჩვენებლები :

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-დეკ-21	31-დეკ-20
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,079,828	2,286,384
არამატერიალური აქტივები	5,220	6,086
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,085,048	2,292,470
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	715,209	261,936
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9,055,266	7,439,981
ფული და ფულის ექვივალენტები	129,663	74,952
გადასახდელი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	951,032	284,962
საგადასახადო აქტივი	112,544	-
სულ მიმდინარე აქტივები	10,963,714	8,061,831
სულ აქტივები	13,048,762	10,354,302
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	413,700	413,700
გაუნაწილებელი მოგება	8,990,652	7,446,849
სხვა რეზერვები და ფინანსირება	-	-
სულ კაპიტალი	9,404,352	7,860,549
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	2,071,634	459,495
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,071,634	459,495
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,061,453	772,934
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა	-	19,701
მოკლევადიანი სესხი	-	1,241,623
მიღებული ავანსები	511,323	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,572,776	2,034,258
სულ ვალდებულებები	3,644,410	2,493,753
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	13,048,762	10,354,302

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021	2020
ამონაგები	17,367,994	13,490,983
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(12,399,273)	(8,713,628)
საერთო მოგება	4,968,721	4,777,355
ადმინისტრაციული, გაყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,933,244)	(3,530,810)
საოპერაციო ხარჯი	(3,933,244)	(3,530,810)
საოპერაციო მოგება	1,035,477	1,246,545
საოპერაციო ხარჯები	(112,722)	(145,242)
კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	318,110	(610,651)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა	307,3441	(77,437)
არასაოპერაციო ხარჯები	512,829	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,548,305	1,246,545
მოგების გადასახადის ხარჯი	(4,502)	(20,015)
წმინდა მოგება	1,543,804	1,226,530

თავი II

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით.
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით.

განვითარების რესურსები:

- კომპანიას, მის დამფუძნებლებსა და თამშრომლებს გააჩნიათ აქვს ამ სფეროში მოღვაწეობის 21 წლიანი გამოცდილება
- კომპანიას, მის დამფუძნებლებსა და თამშრომლებს გააჩნიათ აქვს ამ სფეროში მოღვაწეობის 21 წლიანი გამოცდილება
- არსებული მატერიალური ბაზა და ფინანსური რესურსები საკმარისია კომპანიის განვითარებისთვის.
- კომპანია თანამშრომლობს მსოფლიოს 80-მდე ცნობილ მომწოდებელთან, რომელთაგანც მრავალწლიანი ურთიერთობა და გაწეული რეკომენდაციები კიდევ ერთ აქტივად უნდა ჩაითვალოს

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმებისა და ტექნოლოგიების ცოდნა. აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს კომპანია რაზეც მეტყველებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბოლო წლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების იმპლემენტაცია საქართველოში.

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადმინისტრაციის თანამშრომელი.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

კომპანია აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანია საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

კომპანიაში დასაქმებულები არიან როგორც მამრობითი ისე მდედრობითი სქესის თანამშრომლები. კომპანიის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ადამიანის უფლებების დაცვა

კომპანია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანია მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება.

ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოსდაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ.

სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

თავი VI

ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რისკების დაზღვევას: დაზღვევის ობიექტია:

1. ანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიაღება ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
2. შტორმის, ციკლონის, წყალდიდობის, მეწყერის, წყლის დონის ამაღლებით და სხვა ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალი.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- კონტროლს ვუწვევთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის დროულ ჩანაცვლებას ან/და შეკეთებას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება აქ მომუშავე კადრებზე.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე საქართველოსა თუ საზღვარგარეთ.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია

ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი - უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. საპროცენტო განაკვეთის რისკი საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

კოვიდ 19-ის რისკი - ხელმძღვანელობა ყოველდღიურ რეჟიმში აკეთებს კოვიდ-19-თან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგს, ეცნობა მთავრობის მიერ გამოცემული რეკომენდაციებსა და რეგულაციებს და უზრუნველყოფს მათ დანერგვას კომპანიაში.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

სავალუტო რისკი - უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. საპროცენტო განაკვეთის რისკი საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

კოვიდ 19-ის რისკი - ხელმძღვანელობა ყოველდღიურ რეჟიმში აკეთებს კოვიდ-19-თან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგს, ეცნობა მთავრობის მიერ გამოცემული რეკომენდაციებსა და რეგულაციებს და უზრუნველყოფს მათ დანერგვას კომპანიაში.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

